საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 10 ივნისის
დადგენილება № 459

ქართული რეფერატული ჟურნალის
ბეჭდური სახით გამოცემის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

გათვალისწინებული იქნეს პოლითემატური ქართული რეფერატული ჟურნალის მნიშვნელობა ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროში არსებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების რეფერირების საქმეში, რომელსაც ადრე რეგულარულად გამოსცემდა ინსტიტუტი ტექინფორმი და იმის გამო, რომ ეს ინსტიტუტი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სადღეისოდ სტუ-ს შემადგენლობაშია, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ტექინფორმთან თანამშრომლობის საფუძველზე ქართული რეფერატული ჟურნალის აღდგენა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. აქედან გამომდინარე:

1. დაევალოს საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ სამეურვეო საბჭოს, ტექინფორმში მომზადებული მაკეტის შესაბამისად, უზრუნველყოს ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) „ქართული რეფერატული ჟურნალის“ ყოველწლიური გამოცემა (წელიწადში ორი ნომერი). აქედან, აღდგენილი ჟურნალის გაგრძელებული ნუმერაციის მიხედვით, მე-7 (19) ნომერი გამოვიდეს 2011 წელს, ხოლო რეგულარული გამოცემა (წელიწადში ორი ნომერი) დაიწყოს 2012 წლიდან;
2. ეთხოვოს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს შეიტანოს ცვლილება სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტში და საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტისათვის“ გამოყოფილი თანხა გაზარდოს 1500 (ათასუთასი ლარით) (ჟურნალის ერთი ნომრის ღირებულება), ხოლო, 2012 წლიდან დაწყებული, საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ დაფინანსებაში ყოველწლიურად, სპეციალურად ქართული რეფერატული ჟურნალისათვის, გაითვალისწინოს თანხა 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით (ჟურნალის ორი ნომრის ღირებულება),

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე